საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8958/01
18/09/2020

8958-01-2-202009181724

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“
მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას I შესახვევი N33

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 10 სექტემბრის N 14306 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხრანის მიმდებარედ „ქსნის“ ქვიშა-ხრეშის კარიერზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციას.

გაცნობებთ რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- ინფორმაცია მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისა და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხის შესახებ;
- ინფორმაცია ავარიული დაღვრილი საწვავისა და მოედნის ნარეცხი წყლების მართვის საკითხების შესახებ, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული წყლის გაწმენდისა და გამწმენდი ნაგებობის პარამეტრების შესახებ;
- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. ქსნის ჭალა-კალაპოტში, შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ინფორმაციას წყალდიდობის დროს ტერიტორიის დატბორვის ალბათობის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს მდ. ქსნის კალაპოტიდან საპროექტო ტერიტორიის დაშორების მანძილის შესახებ ინფორმაცია, „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 2013 წლის 31 დეკემბერი №440 დადგენილების გათვალისწინებით;
- ინფორმაცია წლის განმავლობაში რეალიზაციისთვის დაგეგმილი საწვავის რაოდენობისა და საწვავის გაცემისთვის საჭირო მოწყობილობების შესახებ;
- ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმისა და მომსახურე პერსონალის რაოდენობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მას შემდეგ, რაც შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ უზრუნველყოფს სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე